1. ზოგადი რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებთან რეგიონებში ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების დროს გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელთა დროული მოგვარება არ საჭროებს სისტემურ საკანონმდებლო ცვლილებებს და სავსებით დაძლევადია სამთავრობო დონეებს შორის ჯეროვანი კოორდინაციითა და ცალკეულ საკანონმდებლო აქტების ტექნიკური რევიზიით, ასეთი საკითხებია:

2.1. ბუნებრივი რესურსებით (ძირითადად მდინარის ნატანი ბალისტითა და სოციალური მერქანით) ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა. მუნიცპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სანამ ეს საკითხი სისტემურად გადაწყდება მანამდე აუცილებელია ჯეროვანი კოორდინაცია (ინსტიტუციური და არა პიროვნული) ადგ. ხელისუფლების ორგანოებსა და შესაბამის სამინისტროს შორის.

2.2. მრავალგზის დაისვა სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოდიფიკაციის და თვითმმართველობის სპეციფიცკის გათვალისწინების საკითხი, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების სფეროში;

2.3. მწვავედ დაისვა კოორდინაციის აუცილებლობის საკითხი წყლის გაერთიანებულ კომპანიასა და მუნიციპალიტეტებს შორის, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე მუნიცპალური ინფრასტრუქტურას ეხება. იგივე მოსაზრება გამოითქვა სახელმწიფო საგზაო დეპარტამენტის მიმართ

2.4. ცალკეული თვითმმართველი ერთეულების მხრიდან დაისვა სახელმწიფო ქონების მმართველის გამგებლობაში მყოფი საძოვრების იჯარით გაცემის მოწესრიგების საკითხი. ქვემო ქართლში დაისვა ეკონომიკის სამინისტორს საკუთრებაში მყოფი და მუნიცპალიტეტეის საკუთრებაში მყოფ სასოფლო სამეურნეო მიწებზე ერთიანი საიჯარო განაკვეთის დაწესების აუცილებლობა, რათა მუნიცპალიტეტები არ იქნან ჩაყენებული წამგებიან მდგომაროებაში;

2.5. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მუნიცპალიტეტებში დაისვა გირჩზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრელბლის საკითხი/ ექსპერტიერობის მხრიდან ხდება რესურსის ოდენობის განზრახ შემცირება, რაც შესაძლებელია ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამო. გამოითქვა მოსაზრება, რომ ექსპრტირტიორებმა ლიცენზიაში დეკლარირებული რაოდენობის ყოველწლიორი კორექცია მოახდონონ და მოსაკრებლის გადახდა მოხდეს ყოველწლიურად კორექტირებულ რაოდენობაზე.

2. რეკომენდაციები სტრატეგიის ტექსტთან მიმართებაში

რეკომენდაცია 2.1.

ამოცანა 1.1: თვითმმართველი ერთეულების მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელების უზრუნველყოფა. პარაგრაფის "უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელებას ხელს უშლის:" ქვეშ მოცემულ ჩამონათვალს დამატოს შემდეგი შინაარსის პუქნტი

"გ) მუნიციპალიტეტებისათვის ქონების (მიწა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსები) გადაცემის საკითხის გაჭიანურება, მუნიციპალიტეტის მიერ ქონების საკუთრებაში პირველადი რეგისტრაციისთვის დადგენილი რთული და ურთიერთწინააღმდეგობრივი პროცედურები."

იმავე ჩამონათვალის დ) პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად

"ე) უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების სიმწირე, რის გამოც სათანადოდ ვერ ხერხდება საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი თითმმართველი ერთეულის საკუთერი უფლებამოსილებების სრულად და ჯეროვნად აღსრულება";

იმავე ჩამონათვალის ე) პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად

"ვ) მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის დაბალი ხარისხი, რაც ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული მომსახურების მაღალ ხარისხსა და ხარჯთექფექტიანობას;"

იმავე ჩამონათვალის ვ) პუნქტს მინიჭოს როგოთობა ზ)

რეკომენდაცია 2.2.

"განხორციელების მექანიზმი 2.1.3. სარგებლობის ლიცენზიის მოსაკრებლების ნაწილის გადაცემა თვითმმართველობისათვის" ნარატიული ნაწილი შეიცვალოს შემდეგნაირად

"მომზადდება ცვლილება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში და სარგებლობის ლიცენზიების ცალკეული სახეების გაცემის უფლებამოსილება გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. შესაბამისი სალიცენზიო მოსაკრებელი მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტში".

რეკომენდაცია 2.3.

"განხორციელების მექანიზმი 2.1.4. გადასახადის თვითმმართველობებისთვის გაზიარების პროცესის გაგრძელება" ნარატიული ნაწილი შეიცვალოს შემდეგნაირად

"ადგილობრივი თვითმმართველობის გაზრდილი უფლებამოსილებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საშუალოვადიან პერსპექტივაში მომზადდება საბიუჯეტო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი, საშემოსავლო გადასახადის თვითმმართველობის სასარგებლოდ ეტაპობრივად გაზიარების მიზნით."

რეკომენდაცია 2.4.

"განხორციელების მექანიზმი 2.1.5. ქონების გადასახადის გაანგარიშების წესის, გადამხდელთა და დაბეგვრის ობიექტის გადახედვა" ნარატიული ნაწილი შეიცვალოს შემდეგი ტექსტით

"ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. გადაიხედება ქონების გადასახადით დაბეგვრის წესი და დღეს არსებული საგასახადო შეღავათები"

რეკომენდაცია 2.5

"განხორციელების მექანიზმი 2.1.6. ქონება" შეიცვალოს შემდეგნაირად

"განხორციელების მექანიზმი 2.1.6. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ქონებით უზრუნველყოფა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19-ე მუხლის მეოთხე პარაგრაფითა და 76-ე მუხლის პირველი პარაგრაფით გარანტირებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებრივ უფლებათა რეალიზაციისთვიის:

ა) მოხდება საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია, საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების შესახებ" შესაბამისობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან და საქართველოს ორგანულ კანონთან "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

ბ) გამარტივდება სახელმწიფო უძრავი ქონების თვითმმართველობის საკუთრებაში გადაცემემის წესი. კანონით "სახელმწიფო ქონების შესახებ" განისაზღვრება იმ უძრავი ქონების კატეგორია რომელთა ადგ. თვითმართველობის ორგანოს

საკუთრებაში გადასვლა საჭიროებს სახელმწიფო ქონების მმართველის წინასწარ თანხმობას, ყველა სხვა სახელმწიფო უძრავი ქონების პირველად რეგისტრაციას თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დამოუკიდებლად, თვითმმართველი ერთეულის მხრიდან რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე.

გ) პირველ ეტაპზე გამარტივდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამუურნეო მიწის და ბუნებრივი რესურსების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის სარგებლობაში გადაცემის პროცედურები. საქართველოს ორგანული კანონის "მიწის კოდექსი" შემუშავების პროცესში დადგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში გადაცემის წესი.

გ) გაიზრდება საჯარო რეესტრის სააგენტოს დისკრეცია მესაკუთრე დაუდგენელი სახელწიფო ქონების პირველადი რეგისტრაციის პროცესში, რისთვისაც ამ სააგენტოს გადაეცემა შესაბამისი ბაზების (კადასტრის) წარმოებისა და გამოყენების უფლებამოსილება."